

ლექსიკურ ნასესხობათა ადაპტირებისა და ინტეგრაციის
გზები თანამედროვე ქართულში

მარიამ კვაჭაძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტზე ლინგვისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლობჯანიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კვაჭაძე, 2021 წ.“

აბსტრაქტი

გლობალიზაციის პირობებში, ინგლისურენოვანი ქვეყნების გავლენის შედეგად, სწრაფად ფართოვდება ნასესხები ლექსიკის პრაგმატული რეალიზაციის სფეროები მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნული ზეგავლენის შედეგი ქართულ ენაშიც ვლინდება.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება, ერთი მხრივ, ქართულ ენაში დამკვიდრებული უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების შესწავლას მათი ზოგადი კლასიფიცირების თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების დამოკიდებულებათა შესწავლას უცხო ენიდან შემოსული სიტყვებისადმი.

კვლევის ძირითადი ნაწილი ემყარება სოციოლინგვისტური ანალიზის პრინციპებს, რაოდენობრივი კვლევითი მეთოდოლოგიის გამოყენებით, და მოიცავს საზოგადოების დამოკიდებულებათა შესწავლას უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების, კერძოდ, ბარბარიზმების მიმართ, ანკეტირების პრინციპის დაცვით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა საზოგადოების დამოკიდებულება უცხოური ლექსიკის თანამედროვე ქართულში დამკვიდრებისადმი და მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებით არის გამოწვეული მათი ინტეგრირება. ასევე, გამოვლინდა, რომ ქართული ენა, საზოგადოების მოსაზრების მიხედვით, ყველაზე მეტად განიცდის ინგლისური ენის ზეგავლენას და ხშირ შემთხვევაში ისეთი ლექსიკური ერთეულები ინტეგრირდება, რომელთა შესატყვისები ქართულშიც მოიძებნება.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ნასესხები ლექსიკა, ბარბარიზმები, ინტეგრაცია, ადაპტაცია, ლექსიკური მარაგი

Abstract

Under conditions of globalization fields of pragmatic realization of loanwords are quickly expanding worldwide as a result of influence of English speaking countries. Result of this influence is also revealed in Georgian language. This master's thesis serves, on the one hand, to explore the foreign lexical items adopted in Georgian language in terms of their general classification and on the other hand, to examine public attitudes towards the words adopted from other countries.

The basic part of the research is based on the principles of the sociolinguistic analysis with the use of quantitative research methodology. It includes examination of public attitudes towards the foreign lexical items, in particular barbarism, adhering to the questionnaire principles.

The research has revealed the public attitudes towards the adoption of the foreign vocabulary in the modern Georgian language. It has also revealed the opinion about the factors causing integration of foreign vocabulary. The research has also demonstrated that in the opinion of society Georgian language is the most affected by English language and in many cases such lexical items are used the equivalent of which can be found in Georgian language.

Key words: globalization, loanwords, vocabulary, barbarism, integration, adaptation, lexical storage.